დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ პაატა ყულიაშვილს

დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის (რეგისტრირებული ამომრჩევლების)

პ ე ტ ი ც ი ა

(დმანისის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ავტობუსების დამატებით და სამარშრუტო ხაზების შექმნის თაობზე)

პეტიციის წარმდგენები (მომხსენებელი):

ლაშა ჩხვიმიანი

მცხოვრები: დმანისი, 9 აპრილის N11

საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა: _____

ელ.ფოსტა: chkhvimiani94@gmail.com

ზამირ ვალიევი

მცხოვრები: დმანისის, სოფ. ირგანჩაი, მე-16 ქუჩა, N 22

საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა: _____

ელ.ფოსტა: zamir.veliyev2003@gmail.com

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აგრეთვე კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტით, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 26^1 მუხლით განსაზღვრული მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების, გათვალისწინებით წარმოგიდგენთ დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების პეტიციას, რომლის შესაბამისად გთხოვთ, **განახორციელოთ ღონისძიებები დმანისის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდის უზრუნველსაყოფად, მათ შორის საჭიროების შესაბამისად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორგანიზებით, ავტობუსების დამატებით ან/და ახალი სამარშრუტო ხაზების შექმნით.**

გადაადგილების თავისუფლება საქართველოს უზენაესი კანონი კონსტიტუციით, საერთაშორისო კონვენციებისა და პაქტებით არის გარანტირებული. პირის ქვეყნის ნებისმიერ ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს. 21-ე საუკუნეში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გარეშე თავისუფალი გადაადგილების უფლების სრულყოფილი რეალიზება ფიზიკურად შეუძელებელია.

დმანისის მუნიციპალიტეტი მდებარეობს ქვემო ქართლის მხარის დასავლეთ ნაწილში. ჩრდილოეთით ესაზღვრება წალკის, აღმოსავლეთით თეთრიწყაროსა და ბოლნისის, დასავლეთით — ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით სომხეთი. ფართობი 1198,8 კმ². დმანისის მუნიციპალიტეტში არის 1 ქალაქი და 59 სოფელი.

მუნიციპალიტეტში 56 დასახლებული პუნქტია. მათ შორის 1 ქალაქია. 2014 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 19 141 ადამიანს და იმავე მონაცემების მიხედვით მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაახლოებით 90 % სოფლად ცხოვრობს.

იმის გათვალისწინებით, რომ დმანისის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სოფლად ცხოვრობს ტრანსპორტის პრობლემა განსაკუთრებულ ტვირთად გვევლინება ყოველდღიური ცხოვრებაში. წლებია დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში ისმება საზოგადოებრივი ტრანსპორტის არ არსებობასთან დაკავშირებით გამოხმაურებები, თუმცა ამაზე ადგილობრივი თვითმმართველობის/სახელმწიფოს მხრიდან რეაგირება არ მოჰყვა. აღნიშნული პრობლემა დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას და გაცილებით უფრო მკვეთრი და დაბრკოლებების შემქმნელია.

უნდა აღინიშნოს, რომ ტრანსპორტის მხოლოდ გადაადგილების საშუალებად წარმოდგენის შემთხვევაში იფანტება მთავარი პრობლემის ფოკუსი. რადგან საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ არის მხოლოდ გადაადგილების საშუალება. ტრანსპორტი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნის/მუნიციპალიტეტის განვითარებაში. წარმოების პროცესის ყველა ეტაპი მჭიდროდაა დაკავშირებული მასთან, აღსანიშნავია ის, რომ ტრანსპორტი დამხმარე მომსახურებად გვევლინება, როგორც სოფლის მეურნეობაში, ასევე ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და მშენებლობაში.

დმანისის მოსახლეობის ძირითად შემოსავლებს უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობა, მცირე მეწარმეობა. ძირითადად ვაჭრობა და საყოფაცხოვრებო მომსახურება და საჯარო სამსახურები. აღნიშნული მაჩვენებლების ფონზე თავისუფალი გადაადგილება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის.

წინამდებარე პრობლემა მკვეთრად აისახება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა მოქალაქეს ყოველდღიურობაზე. როგორც ახალგაზრდების, ხანდაზმულობის/პენსიონერების, ისევე ქალების.

ახალგაზრდებისთვის ყველანაირი აქტივობა, შესაძლებლობა, კულტურული და სპორტული წრეები, ცხოვრებისეული პერსპექტივა, მათ შორის არაფორმალური განათლების მიღების ყველა შესაძლებლობა ცენტრს ან დედაქალაქს უკავშირდება, რაც ტრანსპორტის არ არსებობის გამო ფაქტობრივად შეზღუდული აქვთ ახალგაზრდებს. აღნიშნული პრობლემა პირდაპირ კავშირშია დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრების ახალგაზრდების პირადი, პროფესიული განვითარებასთან.

ასევე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხანდაზმულების/პენსიონერებისთვის განსაკუთრებული საჭიროებაა, რადგან ისინი ვერ ჩამოდიან მუნიციპალიტეტის ცენტრში, რათა მიიღონ სერვისები ისეთ პროდუქტებზე/სერვისებზე, როგორიც არის აფთიაქი, ჯანდაცვა/საავადმყოფო, ბანკი, მუნიციპალური სერვისები და ა.შ.

აღსანიშნავია, ქალების ყოფა, რადგან ქალებს უწევთ დილის საათებში კილომეტრებით მანძილის ფეხით სიარული/გავლა, რათა მოასწრონ კერძო ავტობუსზე.

იქიდან გამომდინარე, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის არსებობა მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა პროცესში მონაწილეობისთვის, სამუშაოსა და თავისუფალი დროის მოხმარების და გატარების ჩათვლით, მოსახლეობას რჩება ერთად-ერთი ალტერნატივა, ვისაც საშუალება აქვს საკუთარი ავტომობილების სარგებლობის სახით, რაც თან ახლავს უამრავ გავლენას. კერძო ავტომობილის ფლობა დაკავშირებულია დანახარჯებთან, გაზრდილ საგზაო ავარიებთან და გარემოსთვის მიყენებული პოტენციური საფრთხესთან, გზების მზარდი გადატვირთვასთან, რაც იწვევს ავტომობილით გადაადგილების საშუალო სიჩქარის შემცირებას, განსაკუთრებით ისეთ რეგიონში, სადაც არის მაღალმთიანი, გზების აქვს გეოგრაფიული დახასიათებიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხეები.

წინამდებარე პრობლემის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობა კარგადაა ინფორმირებული, თუმცა, მიუხედავად ამისა მათი მხრიდან ვერ ვნახეთ რეალურ და პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებულ ნაბიჯებს/რეაგირებებს. აღნიშნულის ფონზე სოფლების მოსახლეობაში ძლიერია განცდა, რომ მათი საჭიროებები, წუხილები და გამოწვევები ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის დღის წესრიგში არ დგას. სოფლის მოსახლეობის შეწყვეტილი აქვს ცენტრთან/ქალაქთან კავშირი, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული აღნიშნული სოფლების მოსახლეობის ბაზისურ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან, მუნიციპალიტეტისადმი მიმართვასა და შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის კონცეფციის სრულყოფილ ფუნქციონირებას და ეფექტიანობასთან. მოცემულობის ფონზე სოფლის მოსახლეობა იზოლირებულია ქალაქთან/მუნიციპალიტეტთან შედეგად მოსახლეობის ხმა/ნება არ ისმება თვითმმართველობის საქმიანობაში.

დმანისის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის გაზრდა შესაძლებელია პირველ ეტაპზე შემდეგი ხაზების შექმნით:

N1 ხაზი - მამულო-მაშავერა / მაშავერა-მამულო

დასახლებული პუნქტი: 15 / მოსახლეობა: 7 436 / მანძილი: 56 კმ.

<u>ავტობუსი N1</u> - მამულო - გომარეთი - სარკინეთი - განახლება - ველისპირი - ახა - ზემო კარაბულახი - ახალი გედაგდაღი - ქარიანი - იაღუფლო - დმანისი - განთიადი - ვარდისუბანი - დიდი დმანისი - მაშავერა

<u>ავტობუსი N2</u> - მაშავერა - დიდი დმანისი - ვარდისუბანი - განთიადი - დმანისი - იაღუფლო - ქარიანი - ახალი გედაღდაღი - ზემო კარაბულახი - ახა - ველისპირი - განახლება - სარკინეთი - გომარეთი - მამულა

N2 ხაზი

დასახლებული პუნქტი: 9 / მოსახლეობა: 7 278 / მანძილი: 43 კმ.

<u>ავტობუსი N3</u> - დმანისი - ქვემო ოროზმანი - ზემო ოროზმანი - მთისძირი - ამამლო - მამიშლო - საფარლო - პატარა დმანისი - დიდი დმანისი - ვარდისუბანი - განთიადი - დმანისი

<u>ავტობუსი N4</u> - დმანისი - განთიადი - ვარდისუბანი - დიდი დმანისი - პატარა დმანისი - საფარლო - მამიშლო - ამამლო - ზემო ოროზმანი - მთისძირი - ქვემო ოროზმანი - დმანისი

N3 ხაზი - ირგანჩაი-ყიზილაჯლო / ყიზილაჯლო-ირგანჩაი

დასახლებული პუნქტი: 9 / მოსახლეობა: 7 806 / მანძილი: 43 კმ.

<u>ავტობუსი N5</u> - ირგანჩაი - ტყისპირი - ამამლო - ვაკე - ქვემო ოროზმანი - დმანისი - იაღუფლო - დაგარახლო - იფნარი - ყიზილაჯლო

<u>ავტობუსი N6</u> - ყიზილაჯლო - იფნარი - დაგარახლო - იაღუფლო - დმანისი - ქვემო ოროზმანი - ვაკე - ამამლო - ტყისპირი - ირგანჩაი

N4 ხაზი - ქ. დმანისი

ავტობუსი N7 - იმოძრავებს ქალაქში, წრიულად, შიდა ქუჩებში

ზემოაღნიშნული ხაზების დაწყებისთვის საჭიროა 7 ავტობუსი, რომლის 6 ივლის პუნქტიდან პუნქტამდე ხოლო ერთი (N4 ხაზი) იმოძრავებს ქალაში წრიულად. შემოთავაზებული ხაზები/სამარშრუტო რუკა მოემსახურებს მინიმუმ 28 დასახლებულ პუნქტს, 13 716 მოქალაქეს.

მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი მუშაობდეს ყოველდღე დილის 08:00 საათიდან საღამოს 20:00-მდე და დღეში განახორციელოს მინიმუმ 3-4 რეისი. ზემოაღნიშნული სამარშრუტო ხაზების შემთხვევაში თითო რეისსზე საჭიროა მაქსიმუმ 1,5-2 საათი.

ყველა ზემოაღნიშნულების გათვალისწინებით **დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, ითხოვს, დმანისის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ხელმიუწვდომლობის პრობლემის მოგვარებას. კონკრეტულად შეიქმნას ზემო აღნიშნული 7 ხაზი, რომელიც იმუშავებს ყოველდღე (შაბათ კვირას ჩათვლით) დილის 08:00 საათიდან საღამოს 20:00-მდე (ერთი სამუშაო დღე 3-4 რეისი).**

ჩვენ დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები მხარს ვუჭერთ წარმოდგენილ პეტიციაში ჩამოყალიბებულ მოთხოვნას, რასაც ვადასტურებთ ჩვენი ხელმოწერით:

დანართები:

1. პეტიციის წარმდგენი პირის - ლაშა ჩხვიმიანის საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქსეროასლი);

2. პეტიციის წარმდგენი პირის - ზამირ ვალიევის საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქსეროასლი);

3. პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების (სულ 313 პირის) სია;

ლაშა ჩხვიმიანი .....

ზამირ ვალიევი .....

06/10/2023